

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების შესაბამისობაში მოყვანას „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ 1990 წლის 8 ნოემბრის სტრასბურგის კონვენციასთან, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის №3345-რს დადგენილებით. კანონპროექტის მიზანია, სტრასბურგის კონვენციის დებულებებთან (მუხლი 2) შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედი ნორმები, რომლების არეგულირებენ ქონების ჩამორთმევის მექანიზმებს.

„ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ სტრასბურგის კონვენციის პირველი მუხლის „b“. „c“ და „d“ პუნქტებში მოცემული განმარტებებიდან გამომდინარე, დანაშაულის საგნის ანდა საშუალების, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ჩამოყალიბდა სასჯელის სახით. ქონების ჩამორთმევის დეფინიცია და მისი შეფარდების საკითხი დაწვრილებით არის გადმოცემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის ახალ რედაქციაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული ძველი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახე „ქონების კონფისკაცია“. წარმოდგენილი პროექტით შემოთავაზებული სასჯელის სახე „ქონების ჩამორთმევა“ სრულიად განსხვავება არაკონსტიტუციურად მიჩნეული სასჯელის სახისაგან. პირველ რიგში არაკონსტიტუციური დებულება ითვალისწინებდა პირის მთლიანი ქონების კონფისკაციას განურჩევლად ამ ქონების წარმომავლობისა და დანაშაულთან მისი შემხებლობისა, ხოლო შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ დანაშაულის საგნისა და საშუალების, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთისა და ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ან მისი ექვივალენტური ღირებულების ქონების ჩამორთმევას (სტრასბურგის კონვენციის მე-2 მუხლი). ამ შემთხვევაში სანქციის მიზანს წარმოადგენს არა იმდენად პირის დასჯა, არამედ საზოგადოებრივი

ინტერესი, რაც დამნაშავეისათვის მის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული თუ ამით მიღებული ქონების კვლავ დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოყენების აღკვეთაში გამოიხატება.

ცვლილებას განიცდის ასევე უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ცნება კოდექსის 194-ე მუხლში. კერძოდ, ამ ტერმინის განმარტება შესაბამისობაში იქნა მოყვანილი „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ სტრასბურგის კონვენციის პირველ და მე-ნ მუხლებთან. ამასთან ერთად, მოცემული მუხლის ცვლილება ასევე აუცილებელია 52-ე მუხლის ახალი რედაქციით დარეგულირებული ქონების ჩამორთმევის მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ცვლილებების მოქმედ კანონმდებლობაში წარმოდგენის აუცილებლობა არაერთხელ დაფიქსირებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ, რამაც განაპირობა მოცემული კანონპროექტის შემუშავება. კერძოდ, საქართველოს მოეთხოვა შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში 2005 წლის 18 ნოემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს მიმართ გამოყენებული იქნება სანქციები.

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, ფლობა, სარგებლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) საშსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე და ჯარიმით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონო შემოსავლად ჩაითვლება ამ კოდექსის 109-ე მუხლის "ი" ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტით, 143-144-ე, 171-172¹-ე, 174-ე, 177-183-ე, 185-187-ე, 189-191-ე, 195-199-ე, 202-ე, 203-ე, 209-ე, 211-215-ე, 217-ე, 220-ე, 221-ე, 223-ე, 224-ე, 227-232-ე, 234-237-ე, 247-255¹-ე, XXXIII-ე თავით (გარდა 272-274-ე მუხლებისა), XXXV-ე თავით, 290-ე, 293-295-ე, 296-ე, 299-ე, XXXVII-ე თავით, XXXVIII-ე თავით, XXXIX-ე თავით (გარდა 342-ე და 342¹-ე მუხლებისა), 361-ე, 362-ე, 364-ე, 365-ე, 377-ე მუხლებით, XLVII-ე თავით (გარდა 404-ე და 405-ე მუხლებისა) გათვალისწინებული ერთერთი დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავალი.

2. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ზევით."

9. 214-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას შენიშვნის მე-2 პუნქტი.

10. 344-ე მუხლის შენიშვნიდან ამოღებულ იქნას მე-2 პუნქტი.

11. 377-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 377. უკანონო ქმედება აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებით

1. აღწერილი ან დაყადაღებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონოდ გადაცემა იმის მიერ, ვისაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა, ანდა დაყადაღებული ფულადი საშუალებით (ანაბრით, ანგარიშით) საბანკო ოპერაციის განხორციელება საკრედიტო ორგანიზაციის მოსამსახურის მიერ,–

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან ტუსალობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენში მითითებული ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების დამალვა ანდა განაჩენის აღსრულებისათვის სხვაგვარად თავის არიდება,–

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

